

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მართული

მართული ერთობის დარბაზი

ელ. ფოსტა: qartuliertobisdarbazi@gmail.com;
ვებ. გვერდი: www.qartuliertobisdarbazi.blogspot.com



გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!

9 აპრილს – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე, ილიასა და აკაკის ძეგლთან, 11 საათზე და 14 აპრილს – ქართული ენის დღეს, დედა ენის ძეგლთან 11 საათზე, იწყება ხელმოწერა „მოქმედების მანიფესტზე“!

„მოქმედების მანიფესტზე“ ხელმოწერა – ეს არის საქართველოსათვის თქვენი ბრძოლის განწყობის დადასტურება და შეკავშირება იმ ადამიანებთან, ვინც გაცნობიერა, რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტეობამდე და მის შემდგომ აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა პირველივე საუკუნიდან – არ შეიძლება 21-ე საუკუნეში უარყოფდეს საკუთარ ფასეულობებს და აფეტიშებდეს სხვისას.

სწორედ ამიტომ, ჩვენი დიდი სურვილია, „მოქმედების მანიფესტს“ შემოუერთდეს სრულიად საქართველო, ჩვენი სამშობლოს ყველა მეგობარი. მხოლოდ ასეთ ერთობას შეუძლია დაასრულოს ქვეყნის გარედან მართვა, დაიბრუნოს საქართველო, გახადოს იგი რეალურად დამოუკიდებელი და დემოკრატიული, გვაცხოვროს სულიერებითა და სიყვარულით.

ბედნიერი და ამაყი ვართ, რომ მოაზროვნე ადამიანთა თანადგომით შევქმენთ ეროვნული სულისკვების და იმავდროულად პლანეტარული განწყობის „მოქმედების მანიფესტი“ და დაგვეწყო ფიქრი დიდ ქართულ პროექტზე – „საქართველო დაჭრილი მზეა“ (გენიალურია გრ. რობაქიძის ეს ფრაზა, დღევანდელდობის შესაბამისი).

ვამაყობთ, რომ „მოქმედების მანიფესტს“ მოვაწერეთ ხელი. გვწამს და გვჯერა, ამ უაღრესად ღრმა და მომავლის საქართველოზე ორიენტირებული ნააზრევის ტექსტზე უამრავი ადამიანი დატოვებს თავის ხელმოწერას.

ჩვენი თაობის მეგობართა ფართო წრე, ბოლო წლებში, ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე. ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბის, გიგა ლორთქიფანიძის, მუხრან მაჭავარიანის, მერაბ ბერძენიშვილის, რეზო ამაშუკელის, ჯანსუღ ჩარკვიანის და არაერთ სხვა დიდ მოღვაწეს, ღამეები უთენებიათ ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში.

ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენიოსმა – ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. დიდხანს გვინდა ვიცოცხლოთ, ვიყოთ თქვენ გვერდით, ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოვებული სიკეთე, „ბორტების“ სიყვარულით დასამარცხებლად!

გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!
ეს არის ჩვენი ანდერძი, ისეთივე მამა-შვილური, როგორც ჩვენ მივიღეთ წინა თაობებისაგან.

შევერათ გათითოვებული სიკეთე, ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად!

რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, თმარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭორი, რომან რურუა, რამაზ ყურაშვილი.

რეზო ჩხეიძე : „ეს არის ჩემი თხოვნა, ... იქნებ, უკანასკნელიც...“

ლაზარეს აღდგინების დღეს, 4 აპრილს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლებმა, საინტერესო იდეა გაახმაურეს. იდეა ცნობილ კინორეჟისორს, მშვიდობის მსოფლიო ელჩს, ბატონ რეზო ჩხეიძეს ეკუთვნის. „ჯარისკაცის მამის“ ავტორმა წერილით მიმართა „ქართული ერთობის დარბაზს“, სადაც ნათქვამია:

„მომდევნო 2016 წელი, შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი 800 წლის იუბილეს ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეს, მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით მასშტაბური გახდეს, ამის თაობაზე იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება და ეს იუბილე აღინიშნოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.“

სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი თქვენთვის, თბილისის დღესასწაულის დღეებში. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შევკავშირდეთ საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ გენიალურმა პოეტმა და მსოფლიო კონგრესმა უნდა გავგვართიანოს მთელ მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები. ეჭვი არ მეპარება, რომ გვექნება ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა. მეამაყება, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ ემიჯნება ყოველგვარ დაპირისპირებას და საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა პარამონიზაციას მიიჩნევს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის პარამონიზაცია – მხოლოდ ძლიერთა ხელეწიფებათ.

მსოფლიო პოეზიის ერთი დიდი მწვერვალის, გენიალური შოთა რუსთაველის იუბილე ჩვენი სიძლიერისა და ჩვენი ერთობის დემონსტრირებად უნდა ვაქციოთ ხალხმა და ხელისუფლებამ. ეს არის ჩემი თხოვნა, ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის გამო, იქნებ უკანასკნელიც... იქნებ ბედნიერი, თუ საქართველოს გაბნეულები და ტელევიზიები მხარს დაუჭერენ ჩემს მოსაზრებას. მათ მიმართაც აღარ მექნება მეტი თხოვნა.

გიყვარდეთ საქართველო! გაუფრთხილდეთ საქართველოს! დაიცავით საქართველო!

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, ამ უაღრესად ეროვნული იდეის სრული მხარდაჭერა გამოხატეს ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებმა: პოეტმა მაყვალა გონაშვილმა, პოეტმა ბალათერ არაბულმა, მოქანდაკე ლევან მხეიძემ, მოქანდაკე გიორგი შვაცაბაიამ, ქორეოგრაფმა თმარ მხეიძემ, სპორტსმენმა რომან რურუამ, კინორეჟისორმა ნინო ლაპიაშვილმა და სხვებმა. ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა სიმბოლური და მრავალისმეტყველი უწოდა იმას, რომ ეს დიდი იდეა სამების ტაძარში გაუღერდა და სწორედ დიდ ქართულ დღეს: ლაზარეს აღდგინებისა და ქართული ენის დღეს.

„ბატონმა რეზო ჩხეიძემ კინოსტუდიის ტერიტორიაზე ააშენა წმ. ლაზარეს ეკლესია და ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, ძველით ახალი წლის წინა დღეებში, მის საკუთარ სახლში, გვესაუბრა ამ საკითხებზე ამ ეკლესიის მოძღვარს, მამა გიორგის, კინორეჟისორ ბუბა ხოტივარს, მის უმცროს

მეგობარს, ანზორ ბაბუხაიას და მის უახლოეს ნათესავს, ინეზა ავალიანს... ვარ ბედნიერი, რომ რამდენჯერმე ვესწრებოდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ბატონი რეზოს ამ განწყობის დიდ ქართულ საუბარს, ვარ მონაწილე ორი გენიალური მოღვაწის ბატონი მერაბ ბერძენიშვილისა და ბატონი რეზოს დიდი საუბრისა ამ საკითხებზე, – განაცხადა გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, თემურამ შაშიაშვილმა და გამოთქვა რწმენა, რომ ამ დიდ ქართულ საქმეს ასეთივე მხარდაჭერა ექნება ქვეყნის სამეცნიერო წრეებში, შემოქმედებით კავშირებში, განათლების მთელ სისტემაში.

ბატონი რომან რურუას წინადადებით „ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით გაკეთდება მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის, საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ გიორგი მარგველაშვილის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის მიმართ.

„ქართული ერთობის დარბაზის“ და „ქართულის“ დამფუძნებლებმა – ანზორ ერქომაიშვილმა, რამაზ ყურაშვილმა, რომან რურუამ, თმარ მხეიძემ, გივი თოიძემ, ტარიელ ხარხელაურმა, თემურ გუგუშვილმა, არნოლდ გეგეჭორმა, რამაზ ლომინაძემ, ავთანდილ ჩხაიძემ, გოგი ჯაოშვილმა, თათარ შამათავამ, ჯონი ჯანელიძემ, ირაკლი მაჭავარიანმა, ემილ მიქაიამ, ალექსი კობაიძემ, როლანდ კილაძემ, მიხეილ ჩიკვილაძემ, ოლეგ ნიკოლეიშვილმა, ვია მჭედლიშვილმა, აღნიშნეს, რომ ეს საკითხი უმთავრესი იქნება „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესის ზუგდიდის სესიაზე, რომელიც ერთ თვეში გაიმართება.

სამების ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის შეხვედრის მონაწილეებმა დიდი მადლიერება გამოხატეს ბატონი რეზო ჩხეიძის მიმართ, უსურვეს მას მალე გამოჯანმრთელება და იმედი გამოთქვეს, რომ გენიალური მწერლის 850 წლის იუბილეს, სწორედ დიდი მამულიშვილი, რეზო ჩხეიძე გახსნის.

„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლებმა 6 აპრილს სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია: „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლები ღრმა პატივისცემას ვუდასტურებთ ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის ხელმძღვანელებს, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ მათთან თანამშრომლობას, გვინდა ვიფიქროთ, რომ ჩვენგან მასალის გვიან მიწოდება არის მიზეზი იმისა, რომ შაბათს, სამების საკათედრო ტაძარში რეზო ჩხეიძის სახელით გაუღერებული ეს უაღრესად ეროვნული განწყობის ინფორმაცია ვერ მოხვდა ორშაბათის გაზეთის ფურცლებზე, საინფორმაციო საშუალებებში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სააგენტოებს „რეპორტიორი“ და „GNNEWS“

ჩვენი პოზიცია უცვლელია: დაპირისპირებით და ზიზღით სავსე პოლიტიკური სივრცე სათნოებით, და სიყვარულით უნდა შეიცვალოს, კონფრონტაცია პრინციპულადაა უნდა შეცვალოს... ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას, ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, ერთმანეთზე ზიზღით საუბარს და პარამონიზაციის რთულ და ძნელ გზას ვირჩევთ. ამიტომ გვჭირდება ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესიც, შოთა რუსთაველიც და მისი „გვეფხისტყაოსანიც“, ამიტომ გვჭირდება ჟურნალისტების დიდი მხარდაჭერაც.

გვწამს და გვჯერა: სიყვარული აღგვამაღლებს.

მოქმედების მანიფესტი

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო!

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, რომელთაც გვაერთიანებს დიდი ქართული მიზანი: „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, „ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით, ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ დღეს ქვეყნისათვის უმთავრესია: ქართული აზროვნების დამკვიდრება, ყოველივე ქართულის დაცვა, ყოველივე ქართულის განვითარება.

„ქართული“ - ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას, ვინაიდან ის, თავისი არსით, შინაგანი ბუნებით, შორს დგას, როგორც კოსმოპოლიტიზმის, ისე - ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი ნაციონალიზმისაგან.

„დარბაზი“ - ნიშნავს ერთგულებას ფესვებისადმი და მეგვიდრობითობას ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინანდელი დარბაზის პრინციპებისადმი, რაც გახლდათ ღირსეული მცდელობა სახელმწიფო აზროვნებაში და მმართველობაში პარლამენტარიზმის დანერგვისა.

„ქართობა“ - ნიშნავს საქართველოს ისტორიული სიძლიერის წყაროებისაკენ მობრუნებას; ერთობას საქართველოს შვილთა - ქართველთა, აფხაზთა, ოსთა, რუსთა, უკრაინელთა, სომეხთა, ამერბაიჯანელთა, ბერძენთა, ებრაელთა, იეზიდთა, ასირიელთა და მრავალთა სხვათა... ერთობას, სხვადასხვა თაობის სამშობლოზე გულანთებულ შვილთა... ერთობას, სხვადასხვაგვარ მთაბრუნებელთა სამშობლოსათვის სამოღვაწეოდ. ერთობას მძიმე ყოფით გათითოვას უწყობელი საზოგადოებისა, გათითოვას უწყობელი სიკეთისა.

„ქართული ერთობის დარბაზი“ - (შემოკლებით „ქედი“), კავკასიონის ქვეყანაში - გახლავთ საქართველოს და ზოგადად კავკასიის დიდებულების სიმბოლო, მისი სიმალლე, მისი სიმტკიცე, მისი სიდიადე.

ჩვენ გვაერთიანებს ბიბლიური სიბრძნე: მთავარში - ერთობა, სადავოში - თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში - სიყვარული.

ჩვენ შეიძლება ბევრი რამით განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან: ასაკით, მსოფლმხედველობით, მრწამსით, ეროვნული კუთვნილებით, სოციალური მდგომარეობით... მაგრამ მთავარში - სამშობლოში - გვაქვს ერთობა და ერთნი ვართ იმაში, რომ ჩვენი მოქმედების საფუძველი იქნება სიყვარული.

„ქართული ერთობის დარბაზი“ გახლავთ საკრებულო იმ ადამიანთა, რომელთაც გული შესტკივდა ქართული აზროვნების გასაჭირის გამო. ის არ არის მხოლოდ საკუთრივ ქართველთა საფიქრალი და მისი არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური ქართველებით.

შანა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა შეტევა ქართულ ეკლესიაზე, ქართულ ენაზე, ქართულ ტრადიციებზე, საერთოდ ქართულ კულტურაზე მისი ფართო გაგებით - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ საერთაშორისო მასშტაბით დღემდე არ განმტკიცებულა ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“; ის, რომ ანტიკური კოლხეთისა და ბრწყინვალე ივერიის მეგვიდრე საქართველო დღეს სხვადასხვა ენაზე ათასგვარად იწოდება, ვინაიდან ვერ შევძელით ქვეყნიერებისათვის გვემცნო და დაგვემკვიდრებინა სახელმწიფოს სახელწოდება ძირძველი ერის ენაზე, ისევე, როგორც ეს არაერთმა ერმა თუ სახელმწიფომ მოახერხა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ დღემდე კონსტიტუციურად ვერ დავადგინეთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებული ყოველი ქართველი, ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე იურიდიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ, რადგან ქართველს და აფხაზს არასოდეს ჰქონიათ სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი, - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უცვლელი ქართული სამეფო დინასტია ჩვენში კულტურულ მეგვიდრობადაც კი არ არის აღიარებული, - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ ღვთით ბოძებული ჩვენი უპირველესი სიმდიდრე - მიწა, უცხოელთათვის საკუთრებაში ყველაზე ადვილად მოსაპოვებელი გახდა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, რომ ტელევიზიები ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ, - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ ათწლეულებია, რეალურ კოლონიზატორს მეგობრად და მოხვედრით ბელადს მსხენლად აღვიქვამთ, ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

შანა ის, რომ ოც წელიწადზე მეტია, უგულებელყოფილია: პროფესიონალიზმი, გამოცდილება, კეთილსინდისიერება და ქვეყნის ერთგულება შეცვლილია ხელისუფალის ერთგულებით, თანაც ქვეყანა იმართება ემოციით, სუბიექტური მოსაზრებებით, ამასთან, სახელმწიფო არ არის ორიენტირებული ძლიერზე და ამის შედეგად ქვეყანა აცდა ბუნებრივი განვითარების გზას და ევროპა - აზიის გზაჯვარედინზე მდებარე დიდი ისტორიის ქვეყნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ერთგვეტორული გახდა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ჩვენი აზრით, გაპირობებულია ორი უმთავრესი პრობლემით:

პირველი პრობლემა ძირითადად ქვეყნის გარეთაა და მდგომარეობს იმაში, რომ ვერ შევძელით გარე სამყაროს, უპირველესად, დემოკრატიულ მსოფლიოს რეალურად ვაჩვენოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია, მისი დემოკრატიული ბუნება. ამის შედეგია, ერთი მხრივ ის, რომ დემოკრატიულმა მსოფლიომ არა თუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში, ხალხის დემოკრატიული ბუნება, არამედ გვიყურებენ, როგორც განვითარებად, ზოგჯერ კი, როგორც განუვითარებელ ქვეყანას და ამიტომ გვექცევიან, როგორც ნეოკოლონიალურ სახელმწიფოს. მეორე მხრივ, სავალალოა ის, რომ უკვე საუკუნეებია, რეალურ კოლონიალისტებს მეგობრებად აღვიქვამთ.

მეორე პრობლემა ქვეყნის შიგნითაა და მდგომარეობს იმის გაუცნობიერებაში, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავალი - ეს არის თავისუფალი ადამიანი... ყოველ ადამიანს აქვს ღვთისგან ბოძებული ბუნებითი უფლებები: სიცოცხლის უფლება, სიტყვის უფლება, საკუთრების უფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფების უფლება... ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს, რაც ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის: საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, ყოველი ადამიანი აცნობიერებდეს ბიბლიურ შეგონებას: „თავისუფლებისათვის გაგათავისუფლათ ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები“...

მულის სიტბოსა და აზრის ნათელს ქართველობის - მესაქართველოს აზროვნების გასაჭირის ავი ღრუბელი შემოხვევია და ძველებურად ვეღარ ანათებს, ვეღარ ათბობს, ვეღარ ბრწყინავს.

დღეს „საქართველო დაჭრილი მზეა“ !!!

მთხედვად მცდლობისა, ქვეყანა განვითარებულიყო ცივილიზებულ სამყაროში მიღებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად, ქვეყანაში სისტემური კრიზისია.

ჩვენ გავვიძლიერდა იმის შეგრძნება, რომ ერი ვერ გახდა ქვეყნის პატრონი. საქართველო კვლავაც იმართება ქვეყნის გარეთ არსებული ძალების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი სახელმწიფოს საზიანოდ. ქვეყანას მორიგეობით განაგებენ, ძირითადად, გარედან თავსმოხვეული, ამისათვის საგანგებოდ გაწვრთნილი, არაქართული ცნობიერების მქონე სუბიექტები.

რაც არ გვაკლია, ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური, მათ მიერ მართული პარტიები, მინისტრები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია,

ეს არის - ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების, ხალხის მსახური საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებანი.

ქართული ცნობიერება, ქართული აზროვნება, ქართული მორალი დაუნდობლად ითვლება ფეხქვეშ და იცვლება ყალბი ფასეულობებით.

ბოლო ოცი წლის მანძილზე, ჩვენს ხელისუფალთ ცივილიზებული მსოფლიოსაგან ძირითადად მოაქვთ ის, რაც გვანგრევს და უარს ამბობენ უცხოეთის იმ გამოცდილებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა.

ყველაფერ ამაში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში - ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მიეცას საშუალება, გაეცევიყო პოლიტიკაში. ჩვენ არ მოგვწონს გზა, რომლითაც ქვეყანა მიდის 20 წელზე მეტია. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, რადგან უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა შედის.

ინტელექტი და ბიზნესი - აი, ორი საყრდენი, რასაც არ გააჩნია საზღვრები და რისი წყალობით და რაც მთავარია, სიყვარულით უნდა მოხდეს მსოფლიოს ერთა დიდ ოჯახში საქართველოს სრული ჰარმონიზაცია.

ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფოს მმართველობის პროცესში ის ადამიანები უნდა შემოვიდნენ, რომელთა მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომა ყველაფრის, მათ შორის, რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

ჩვენ გვინდა, რომ ყველას ვუთხრათ: უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისათვის. ეს მით-უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ სამართლიანობის დადგენის უაზროდ გაჭიანურების ფონზე ჯიუტად გრძელდება ერის წინაშე დანაშაუდ „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციისა და მასთან კოჰაბიტაციის რეჟიმი, რაც სულ უფრო ხელშესახებს ხდის „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოჩინებას და ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებას

ყოველ დროში, სახელმწიფო კაცები, ერის მამა - დიდი ილია და მისი მიმდევრები ფიქრობდნენ ისეთ საქართველოზე, სადაც ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება - ხელისუფლებას მართავს საზოგადოება - საზოგადოებას მართავს ინტელექტი და გნობა. სწორედ ეს არის მეცნიერული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების შერწყმა, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ შექმნა დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიის დაარსებით.

ქართული სახელმწიფოებრიობის 30-საუკუნოვანი ისტორია დასტურია იმისა, რომ ჩვენ ვიდევით ცივილიზაციის სათავეებთან და მუდმივად ვიყავით ცივილიზაციის მწვერვალზე.

მეგვიდრობითობის ამ ქართული განწყობიდან გამომდინარე, „ქართული ერთობის დარბაზი“:

ერთი მხრივ, არის - უფროსი თაობის ანდერძი შემდგომი და ახალგაზრდა თაობებისადმი: „გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!“

მეორე მხრივ, შემდგომი და ახალგაზრდა თაობებისათვის, ეს არის ქართული ცნობიერების, ქართული კულტურის დაცვა-შენარჩუნება გლობალიზაციის ურთულეს და უმძიმეს პერიოდში.

ყველას კი გვაერთიანებს: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

ქართული ერთობის დროა! „ქართული ერთობის დარბაზი“ - „ქედი“ - იქნება ის მწვერვალთგრებილი, რომლის კალთებზე დაივანებს ქართული ერთობა, ქართული აზროვნება, ქართული სულიერება!

მოქმედების დროა!



ჩვენ ერთად ვხვდებით თალავიზია „ქართულს“

ჩემო მეგობარო, ყოველხანის სიკეთისა და სიმდიდრის დაგროვება შეუძლებელია. მეც დავაგროვე... ჩემი სიმდიდრე - განვლილი გზა, ხალხის სიყვარული, რომელმაც ამ ასაკამდე მომაღწევინა. ჩემი სიმდიდრე - ჩემი ფილმებია, მათ შორისაა უკვე 50 წლის „ჯარისკაცის მამა“.

მშვილობა ყოველთა ჩვენთა! რებო ჩხვიძე კონსტრუქციის, მშვიდობის მსოფლიო ელჩი 8 დეკემბერი, 2014 წ.

ვითანამშრომლოთ

დიდი მადლობა, რომ შეუერთდით „მოქმედების მანიფესტს“, მონაწილეობთ „ქართული ერთობის“ კონგრესის მუშაობაში. დაიწყო დიდი პროცესი, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესთან, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში, თბილისის დღეებში გაიმართება, ამ ისტორიულ ფორუმს, ჩვენ უნდა შევთავაზოთ მომავლის საქართველოს პროგრამა, თქვენ შეგიძლიათ თქვენი თანადგომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანოთ კონგრესის მუშაობაში სამი მიმართულებით:

ბაზეთი გამოსაცემად მოამზადეს: რამაზ ლომინაძემ, ირაკლი მაჭავარიანმა, მიხეილ ჩიკვილაძემ, ქეთევან მიქაძემ, ნონა ლამაზიძემ, გიორგი სიხარულიძემ, ლიონ ფირცხალავამ.

ინფორმაცია, ამ დიდ ქართულ საქმეში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის

ერთი აქციის ღირებულება შეადგენს 50 ლარს. მისი შეძენა შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერ ვალუტაში. ლარის ანგარიში: ბანკის კოდი TBCBGE 22 ანგარიშის №: GE07TB7417836020100001

სააქციო საზოგადოება „ქართულს“ სამეთვალყურეო საბჭოს პირველი ვტაბის პროგრამა მოიცავს პერიოდს 2015 წლის 6 მაისამდე - გიორგობამდე. ამ დროისთვის ტელეგადაცემების მიღება შეეძლება საქართველოს ყოველ ოჯახს და მთელ მსოფლიოში ყოველ დაინტერესებულ პიროვნებას, რაც დამოკიდებულია აქციონერთა სიმრავლეზე.

სააქციო საზოგადოება „ქართულს“ სამეთვალყურეო საბჭოს პირველი ვტაბის პროგრამა მოიცავს პერიოდს 2015 წლის 6 მაისამდე - გიორგობამდე. ამ დროისთვის ტელეგადაცემების მიღება შეეძლება საქართველოს ყოველ ოჯახს და მთელ მსოფლიოში ყოველ დაინტერესებულ პიროვნებას, რაც დამოკიდებულია აქციონერთა სიმრავლეზე.

ნებისმიერი სახის ინფორმაცია ოპერატიულად შეგიძლიათ მიიღოთ ტელევიზიის საიტებზე და ელექტრონული ფოსტით. ტელეკომპანია „ქართული“ ვებ-გვერდი: www.itetv.ge „ქართული ერთობის დარბაზი“: www.qartuliertobisdarbazi.blogspot.com

ელ. ფოსტა megobartadarbazi@gmail.com „ქართული ერთობის დარბაზის“ ელ. ფოსტა qartuliertobisdarbazi@gmail.com პრაქტიკული რჩევები აქციების შედეგის მსურველთათვის: * 50-ის ჯერადი თანხა ლარებში (შესაბამისი კურსით უცხოურ ვალუტაში) ირიცხება გემოსხენებულ ანგარიშებზე, რის შესახებაც, სატელეფონო ან SMS შეტყობინება ეგზავნება, სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებიდან ერთ-ერთს: ირაკლი მაჭავარიანი ტელ. 599 76 32 31; 592 76 32 31; 577 47 67 39. გიგა მჭედლიშვილი ტელ. 599 10 00 74. ჯონი ჯანელიძე ტელ. 593 30 38 09; 571 07 64 00;

დიდი მადლობა, რომ გახდით აქციონერი!



ჩვენ ვიწყებთ

ჩვენ ვიწყებთ „მოქმედების მანიფესტს“ განწყობით ცხოვრებას... ჩვენ ვიწყებთ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის - ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი ეპოქის ანალიზით... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ მეცნიერთა მონაწილეობით შევქმნათ დოკუმენტური ფილმი - „რა მისცა მსოფლიო ცივილიზაციას საქართველომ“... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ დოკუმენტურად ვისაუბროთ ჩვენს უცხოელ მეგობრებზე, როგორც დიდი ილია იტყოდა, „შორეულ თავისიანებზე“, იქნებ თავი დავიხსნათ დღევანდელი ყალბი და გამოგონილი მეგობრებისაგან... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ საქართველოს და მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ ის დიდი კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც წარსულში დაკავშირებულია ქართველებთან და დღესაც უამრავი ქართველი მთელ მსოფლიოში საოცრებებს ახდენს ... ჩვენ ვიწყებთ იმით, რომ მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ, როგორც ცხოვრობენ უცხოელები საქართველოში და როგორია დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეებისადმი უცხოეთში.